

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის ზედამხედველობის 1-ლი განყოფილების წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე.

**საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის** მიზანია საფინანსო სექტორის საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად ზედამხედველობა გაუწიოს კომერციული ბანკების საქმიანობას, რაც მოიცავს კომერციული ბანკების შემოწმებას და ფინანსური მდგომარეობის ანალიზზე დაყრდნობით შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადებას, მათი საქმიანობის რეგულირებას, საჭიროების შემთხვევაში სანქციებისა და შეზღუდვების დაწესებას ეროვნული ბანკის დებულებების, წესების და ინსტრუქციების მიხედვით.

### **ფუნქცია-მოვალეობები:**

- საკრედიტო სპეც. ჯგუფებთან ერთად ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ბანკის კორპორატიული მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასება;
- კორპორატიული სესხების (Top 100) შემოწმება;
- საკრედიტო პროდუქტების რისკიანობის ანალიზი;
- სესხის გაცემის პროცედურების ანალიზი და რისკიანობის შეფასება;
- მცირე და საშუალო სესხების და საცალო სესხების პორტფელური რისკების შეფასება და ანალიზი;
- ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ბანკის ფინანსური განვითარების მონიტორინგი, ბანკის მოგება ზარალის და საბალანსო უწყისის თვის/წლის ჭრილში დეტალური ფინანსური ანალიზი და ცვლილებების გამოკვლევის მიზნით ბანკთან აქტიური კომუნიკაცია;
- ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ბანკის ადგილზე შემოწმებებში მონაწილეობა საკრედიტო რისკების ადექვატური შეფასების მიზნით;
- ბანკის საზედამხედველო კაპიტალის კომპონენტების დონეზე კონტროლი და სარისკო ტენდენციის გამოვლენის შემთხვევაში ხელმძღვანელობასთან კომუნიკაცია;
- ბანკის დაკავშირებულ მხარესთან წარმოშობილი ტრანსაქციების მკაცრი კონტროლი და შესაბამისი რეაგირების მოხდენა;
- ბანკის მიერ სასესხო დანაკარგების რეზერვის შექმნის მეთოდოლოგიის და პრაქტიკის შედარება და ანალიზი;
- IFRS სტანდარტით და ეროვნულის სტანდარტით მომზადებული წლიური ფინანსური უწყისების შედარებითი ანალიზი. ძირითადი სხვაობების გარკვევა, კომუნიკაცია უშუალო ხელმძღვანელობასთან.

### **ძირითადი მოთხოვნები:**

- **განათლება:** უმაღლესი (სასურველია ეკონომიკურ, საბანკო, აუდიტორულ, ან ფინანსურ სფეროში);
- **მუშაობის გამოცდილება:** საფინანსო სფეროში მუშაობის 1 წლის გამოცდილება;
- **საკანონმდებლო ბაზა:** „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი; „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი“, საბანკო ზედამხედველობისათვის გამოცემული შესაბამისი სამართლებრივი აქტების ზოგადი ცოდნა;

- კომპიუტერული პროგრამები: MS Excel, MS Word, MS Outlook, MS Powerpoint - კარგად
- უცხო ენები: ინგლისური ენა - B2; რუსული ენა - B1

#### სასურველია:

- კორპორატიული ფინანსების კარგად ცოდნა;
- საბუღალტრო სტანდარტების ცოდნა;
- სასურველია საბანკო სექტორში ან/და საბანკო ზედამხედველობის სფეროში მუშაობის გამოცდილება;
- კორპორატიული/ბიზნეს სესხების გაცემის და ანალიზის კუთხით გამოცდილება;
- კორპორატიული/ბიზნეს სესხების რისკის ანალიზის გამოცდილება;
- ბანკის ფინანსური რისკების მიმართულებით გამოცდილება;
- ბექ-ოფისი და რეპორტირების კუთხით სამუშაო გამოცდილება;
- ლიკვიდობის, საბაზრო, სავალუტო რისკების შეფასების, ანალიზის მიმართულებით რისკების შეფასების გამოცდილება;
- ბანკის/მსხვილი კომპანიის აუდიტის შემოწმების კუთხით გამოცდილება;
- რაოდენობრივი მოდელების ცოდნა იქნება სასურველი.

#### კომპეტენციები:

- იდეების დასაბუთება, დარწმუნება;
- ცვლილებების ინიცირება და მართვა;
- კრიტიკული აზროვნება;
- შედეგზე ორიენტაცია;
- თანასწორობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვა;
- ცოდნის მართვის და გაზიარების სისტემების დანერგვა და გამოყენება;
- სტრესის ზემოქმედების ქვეშ მუშაობა;
- დაგეგმვის და ორგანიზების უნარი.

თანამდებობრივი სარგო - 3 289 ლარი.

კონკურსის ფორმა: კონკურსი ჩატარდება ინტერვიუს სახით.

დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ, 2019 წლის 23 სექტემბრამდე CV გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: [vacancies@nbg.gov.ge](mailto:vacancies@nbg.gov.ge) და სათაურში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება: საბანკო ზედამხედველობის წამყვანი სპეციალისტი.